**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 16 სექტემბერს.


## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

1891 წ. იანვრის თვიდგან

ქ. ტფილისში

გამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

**„ჯეჯილი“**

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-მდე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები მოგზაურობის და შესანიშნავ კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, სახავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო პოეტებმა და მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისსა, ბათუმსა და გორში ეღირება 75 კ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)

2) ქუთაისში—ექ. ნიკოლაძისას

3) გორში—ექ. ფურცელაძისას

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*

(5—2) რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

### სათეატრო განცხადება

ვისაც ჰსურს ემსახუროს ქართულს სცენას, მიჰმართოს ბ-ნ ვ. ა. აბაშიძეს ქართულს თეატრში დილის 10 საათიდგან 12-მდე. (10—4)


ტფილისი, 13 ენკენისთვე

ვისაც-კი ცოტათიც არის შეუსწავლია მეთვრამეტე საუკუნის ისტორია, უეჭველია, იმას ცხადად ექმნება წარმოდგენილი, თუ რა იყო მაშინდელი „პოლიტიკური სახელმწიფოები“. მთავრობა მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ იმის დაუხმარებლად მისი ქვეშევრდომნი კლდე-ღრეში გადიჩეხებოდნენ და თავ-პირს დაიმსხვრევდნენ. რაკი მთავრობა ისე უცქეროდა ქვეშევრდომს, როგორც უსუსურს ბალღს, რომელსაც რიგიანი გამდელი ერთს წუთსაც არ მოაცილებს თვალს, რომ არა იწყინოს-რამე, ამიტომ მუდამ იმის ზრუნვა-ფიქრში და დარდში იყო, რომ ბლომად შემოედო სხვა-და-სხვა წესები, თუ როგორ უნდა იცხოვროს სახელმწიფოს მკვიდრმა. ამ დაუნდობელის წესებით სწორედ სულ-შეხუთული იყო მოქალაქე. ყველაფერი დალაგებით და დაწვრილებით ჰქონდა აღნუსხული მთავრობას, როგორ უნდა იფიქროს მოქალაქემ, როგორ უნდა ბჭობდეს, რა დროს ადგეს, დაწვეს, რა გვარად ჩაიცვას და დაიხუროს, როგორ უნდა ეჭიროს თავი საზოგადო კრებაზე და სხვა მრავალნი, რომლის ჩამოთვლაც ტყუილ-უბრალოდ დაიჭერს ადგილს. მთავრობა მარტო ამას არა ჰკმარობდა. რომ მისგან შემოღებული „წესები“ უმე ჭნაკლებოდ ასრულებულიყო, გაიჩინა მრავალთაგან - უმრავლესი მოხელენი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, ყური უგდეთ, რომ წესებს არავინ გადუხვიოსო. ამ მოხელეების სიმრავლე სწორედ გულს უწყალებდა მოქალაქეს. საითაც-კი ფეხს გადასდგამდა, სწორედ ერთს მათგანს შეეხეჩებოდა. ერთის სიტყვით მეთვრამეტე საუკუნის პოლიციური სახელმწიფო ყველაფერში ერეოდა, ყველაფრის გაკეთება თითონ უნდოდა და კერძო კაცის უნარს აღარას უტოვებდა გასაკეთებელს და საფიქრებელს.

მაგრამ, როგორც ყველაფერს ამ ქვეყანაში, პოლიციურ სახელმწიფოს პარპაშობასაც ბოლო მოეღო. საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ სამუდამოდ აუგო ანდერძი. ამის გამო გაბრაზებული ევროპიელი ამდენის სხვის ღალატობით აღელდა, ატოკდა და მუქარით მოსთხოვა მთავრობას: ნება მომეცი, ჩემის თავისათვის მევე ვიზრუნოვო, ჩემს შინაურსა და საოჯახო ცხოვრებაში ნუ გაერევი, ჩემს სარწმენსა და სარწმუნოებას ნუ შეეხები; მომთხოვე მარტო რომ ვიყო ერთგული მოქალაქე და სხვა შენი საქმე არ არისო, რადგან ჩემი თავის ამბავი მე უკეთ ვიცი, ვინემ შენ დაქირავებულმა მოხელემ, რომელსაც ჩემთვის არც გული შეგტკივა და არც არაფერი ბევრი გენაღვლება, შენის ჯამაგირის მეტიო. ამ გვარი მოძრაობა ისე მძლავრი იყო მთელს ევროპაში, იმდენი აყალ-მაყალი და არევ-დარევა გამოიწვია, რომ კარგა ბლომი დრო და ჟამი მოუნდა, სანამ პოლიციური სახელმწიფო სულს დალევდა და პატრონს ჩაჰბარდებოდა.

რაკი, ევროპის ერმა პოლიციური სახელმწიფოს სულთამხუთავი რეჟიმი მოიშორა, და რაკი თავის თავის გამგებელი თვითონ გახდა და თვითმმართველობამ ფრთები შეისხა, კერძო კაცის უნარსა და ნიჭს თითქოს საზღვარი აღარა აქვსო, ევროპის ცხოვრება წავიდა წინ მალის ნაბიჯით. ამერიკაში ხომ ამ თვითმოქმედებამ, რომელსაც ხელს აღარ უშლიდა ზომას გადასული სახელმწიფოს რეგლამენტი, სასწაულები ჩაიდინა. უშველებელი შენობანი, რკინის გზები, არხები, სულ მარტო კერძო კაცის მეოხებით კეთდებოდა. მრეწველობა, ვაჭრობა, მეურნეობა, სწავლა-განათლება აყვავდა ამ მცირედად დასახლებულს ქვეყანაში და ბევრით წინ გაუსწრო ძველს ევროპას. ინგლისსა და შვეიცარიაში თვითმმართველობამ ისე მაგრად მოიკიდა ფეხი, ისე გაუჯდა ერს ძვალსა და რბილში, რომ მისი შერყევა და შეზღუდვა მთავრობის მხრით ყოვლად შეუძლებელია ჩვენს დროში. ოდესმე რომ ამ გვარი სურვილი მოუვიდეს მთავრობას, უსათუოდ აღრევა-ამბოხებას გამოიწვევს და იაფად არ დაუსვავს ერი ამისთანა სურვილს.

მაშ მთავრობა სულ გაუქმდება ამ სახელმწიფოებში? სრულიადაც არა. იმასაც ნაკლები ტვირთი არ ადევს კისრად. მარტო მშვიდობიანობის დაცვა შინ და გარედ, გარეშე მტრის მოგერება, კანონის დაცვა, განა ცოტა საქმეა? ამას გარდა „პოლიციური მოღვაწეობა“ სახელმწიფოსი უნდა იხატებოდეს მუდმივს ზრუნვაში ერის კეთილდღეობისათვის. ზემოდ დასახელებულს სახელმწიფოებში ასეც მოხდა. მთავრობამ შემოიფარგლა თავისთვის შინ და გარედ მშვიდობიანობის დაცვა და ზრუნვა ერის კეთილ დღეობისა, დანარჩენი-კი თვით ერს მიუზომა, მოუარე შენს თავს, როგორც გინდა, ირწმუნე და იწამე, რაცა გსურსო, იფიქრე და იშრომე, როგორც შენი კეთილი გული მოინდომებს და გონება ჩაგაგონებსო.

თავის მოვალეობის აღსასრულებლად, თავის განკარგულების და კანონების განსახორციელებლად მთავრობას ჰყავს შინა და გარე პოლიცია. აქ პოლიციას გარკვევით აქვს ნაბძანები, აასრულე, რასაც კანონი გიბძანებსო და შენით არაფერს ხელი არ წაატანოვო. ამ გვარად პოლიციელი უნდა იყოს სხვის ნების, სხვის ბრძანების აღმასრულებელი და სხვა არა.

## ფელეტონი

### ეთერი*)

(პოემა)

### VII

გოდერძიმ სახლი აიგო
მამისგან უარ ყოფილმა,
კერძო იჩინა მან ბინა,
ვით უკანონოდ შობილმა.
დაკარგა მემკვიდრეობა
ტახტის მემკვიდრედ ცნობილმა.
მაინც თავს ბედნიერად ჰრაცხს
ეთერის მფლობელობითა,
არ იტეხს გულსა ქალზედა
ქვეყნისა მგმობელობითა.
დიდნიც მიუდგნენ მეფესა,
იმასთან ერთად სწყრებიან;
ნამეტნავ როცა მეფესთან
სათათბიროდა სდგებიან.
გოდერძისთანა შემბრალეედ
მარტო დედა თქვეს მისული,
შვილისთვის მიერთმეინა
ფხა-შეუშლელი მისრული,—
რძლისათვის ოქრო-მკერდითა
ნაკერი გულის პირია,
არშიად ევლო გარშემო
მარგალიტები ძვირია.
სიუხვე მეფეებისა
ან-კი რა დასაყვირია!

დედა (გოდერძის)

შვილო ვერ დაგწყევ, გოდერძი,
რაც უნდ საქმე ჰქნა ცუდია,
შვილი ხარ ჩემი, ნუგეშად
ჩემს გულში ჩანაბქუტია.
სხვა რა ვსთქვა: ღმერთმა გიკურთხოს,
გვირგვინ-კავშირი, ბედია,
იფთხილე, აღარ გადასთქვა,
რაც ერთხელ დაგიყბედია.
თავი არ გაიმსუბუქო,
რაც სიმსუბუქე გაკლია,
გადანაფურთხის ალოკვა
კაცისთვის დიდი ნაკლია!
ჯერ კარგი იყო, გეკითხა,
გეთხოვა ჩვენთვის რჩევაო,
უფალს დალოცვად შაესმის
შვილის დედ-მამის წყევაო.
შვილს არას აწყენს მშობლების
დარიგებისა ძლევაო.
შენ შეგვარცხვინე ლევანთან,
ნაფურთხი აგვალოკინე,
შვილო, მოგვიგდე მდინარე,
მშობლები წაალეკინე.
დაგვარჩვე... სისხლი თავისი
წუმპეში დაალევკინე.

გოდერძი (დედას)

მე არც არა ვინ დავარჩვე,
არცვინ წყალს წავალეკინე,
ჩემს ცოდვა-დანაშაულში
არცვის-რა გავალებინე.
ჩემს გულსა მხოლოდ საწილო
თავისი ავალებინე.
ჩემს მშობლებს გულის წადილი.
უკანვე ჩავაგებინე.
ნეტავი გამაგებინა,
იმით რა წავაგებინე,
რომ ცოლი ისე შავირთე,
მშობლებს არ გავაგებინე.
გაჩენის ნება თქვენ გქონდათ
გავჩნდი და მევარ, მეობით.
წადილი სხვა მაქვს, და გრძნობა
გეკუთვნით მხოლოდ ძეობით.
რად გიკვირსთ, მე დავიწუნო,
რაც თქვენ გსურსთ ანარჩეობით?
მგონი წინათაც გითხარი
მეფის ლევანის ქალზედა,
რომ მე არ მინდა ის ცოლად,
ჯვარს არ დავიწერ მაზედა.
მე განა სიზმრით გავიგე,
თვითონა ვნახე თვალითა.
იქ ნადირობად ნამყოფმა
თვალი შევასწარ ქალითა,
როცა ის გადმოსცქეროდა
ჩვენს ყაფალობას სარკმლითა.
ან მამაჩემი რად მიკვეთს,
ან შენ რად სწყრები, დედაო,
ღვთის მადლმა თქვენს სამაენებელს
მე არაფერსა ვბედაო.
თუ ლევან მეფემ იწყინა
და აგვიტეხა შარია,
ჩვენც, ვგონებ, კაცები გვქვიან,
ჩვენც საკმაო გვყავს ჯარია.
ვგონებ, რომ არ დაძაბუნდეს
ჩვენი ხმალი და ფარია.
მკვიდრია მაინც, დედაო,
ჩვენის სამშობლოს კარია,
ეხლაც ისევე დავიცავთ,
ვით წინათ დაგვიფარია!

### VIII

გურგენი იჯდა სასახლეს,
კარში არ გამოდიოდა.
ნაღვლობდა, შვილის ურჩობას,
ცრემლები ჩამოსდიოდა...
თითქმის ორი თვეე ატარა
ესე ოხვრით და ვიშითა,
მსახურნიც ველარ ჰბედავდენ
მეფესთან შესვლას შიშითა.
მეფემ ერთს ღამეს მოიხმო
ნაზირ-ვეზირნი ყველაო,
შესჩივლა თავისი დარდი,
მოსთხოვა იმათ რჩევაო.
ბრძანა: „ხომ იცით, ვეზირნო,
მე რაც გულს მაწევს ლოდადა!..
ლევან მეფისა თავს დასხმა
არ მზარავს ბეწვის ოდნადა.
ის მიკლავს გულსა, რომ შვილმა
ჩემმა დამცრო გვარია.
ცა რად არ ჩამოიქცევა,
არ სქდება მთა და ბარია,
უფსკრულს არ ჩაიყოლია
ვარსკვლავნი მზე და მთვარია.
მეფის ძე მონას ქალთანა
ნეტავ რა შესაყარია?!.
თქვენ ერთსა გკითხავ, რას მეტყვით,
მირჩიეთ გულით წრფელითა,
რომ ჩემს შვილს უჯიშო ცოლი
გამოვაცალოთ ხელითა.
ჯერ შევაძულოთ როგორმე,
გულში მოუკლათ ტრფიალი...
ვის როგორ მოგწონთ ეს აზრი
ჩემს თავში დანატრიალი?
ვეზირთ სთქვეს: „ფრიად კარგია,
კარგადა ჰბრძანებთ, სწორესა,
მაგრამ ეგ გრძნეულთ საქმეა,
ჩვენს ძალ-ღონეზე შორესა.
ვიკითხავთ ყველა კუთხეზე
მისან-მკითხავთა ყველათა;
ვფიქრობთ, ვიშოვნოთ წამალი
ტრფობისა დასაწველადა.
„მაგ საქმეს, დიდო ხელმწიფევ,
თვითონ მე ვილებ კისრადა,
მისნებს ვიშოვნი, თუმცა მე

*) იხ. „ივერია“ № 192, 194 და 195.

ფერი. თვით-ნებობა კანონის შეუფერებელი იქმნება. პოლიციელიც სინიდისიერად ასრულებს თავის მოვალეობის და იქ არ ერევა, საცა მას არა ჰკითხავენ. ამისთვისაც იქ, განსაკუთრებით ინგლისში, პოლიციელს დიდი პატივის ცემა და სიყვარული აქვს დამსახურებული მოქალაქეთაგან, ან ისეთი უგვანო ვინ იქნება, რომ პატივი არა სცეს იმ კაცს, რომელიც შენს ქონებას იცავს დაღუპვისაგან და შენ თვითონ გდარაჯობს, რომ ავაზაკმა სიცოცხლეს არ გამოგასალმოს. ამ გვარ მოხელესი სიძულვილიც ხომ უთვლად შეუძლებელია. ამისათვის ინგლისში პოლიციაში სამსახურს დიდათ განათლებულნი და სვინიდისიერნი, კი არ თაკილობენ, არამედ ეტანებიან კიდეცა.

სულ სხვა სურათსა ვხედავ იქა, საცა განსაზღვრული არ არის, რაში უნდა იხატებოდეს „პოლიციური მოღვაწეობა" სახელმწიფოსი და რა მოეთხოვება პოლისციელს. ჩვენში ეს საგანი ჯერ რიგიანად არ არის შემოღებული, კანონი პირდაპირ არას ამბობს: რა მოეთხოვება პოლიციელს და ამისთვის არის, რომ კაცი ვერ გაიგებს, სად იწყება და სად თავდება პოლიციელის უფლება-მოვალეობა. ხშირად პოლიციის მოხელენიც სარგებლობენ ამ გამოურკვევლობით და იმის გაკეთებას ეტანებიან, რაზედაც ხელი არ მიუწვდებათ კანონით. ამ გვარი მათი მოქმედება აზრაზებს მკვიდრთ და ჰბადებს სიძულვილს მათდამი. ამისთვინაც ბევრი რიგიანი მოხელე ერიდება პოლიციაში სამსახურს, რადგან არავისთვის არ არის სასიამოვნო, რომ საზოგადოებაში პირი არიდონ, როგორც უსიამოვნო ხელობის კაცს.

აი ამ ნაკლს ჩვენის ცხოვრებისას მიაქცია ყურადღება უმაღლესმა მთავრობამ და მოიწადინა, სრულიად შესცვალოს ხასიათი ეხლანდელის პოლიციურის სამსახურისა. მთავრობასა სურს, ცხადად შემოფარგლოს მოვალეობა პოლიციის მოხელესი და შეზღუდოს მისი თვით-ნებობა. სასურველია და დიდად სასარგებლოც იქნება, თუ ჩვენი მთავრობა ისე მოაწყობს საპოლიციო საქმეს, როგორც სხვა წარმატებულს ქვეყნებშია მოწყობილი. უეჭველია, მაშინ ბოლო მოეღება ჩივილს, რომ ეხლანდელს პოლიციას სიკეთის მაგიერ ხშირად ზარალის მეტი არა მოაქვსრაო.

ა. ფრონელი

---

## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თთვის 13, დღეშუა მოვიდა ტფილისში, რომ გზათა მინისტრი სტატს-სეკრეტარი ლ. ი. ფონ-გუბბენეტი კავკავის გზით გამოემგზავრა ტფილისში. სექტემბრის 13 ბ-ნი გზათა მინისტრი ღამით ჩამოხდება სადგურს მლეთში, სადაც მეორე დღემდე დარჩება.

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი ამ თთვის 17, როგორც ხმა ისმის, ბათუმში მიბრძანდება.

*** გუშინ, ამ თთვის 13, კავკასიის მთავარ მართებლის წინაშე წარსდგნენ სამხედრო და საერო წოდების წარმომადგენელნი, რომელნიც ამ თთვეში უმაღლესად დაჯილდოვებულ იქმნენ. გენერალ ადიუტანტმა შერემეტევმა ყველა ამათ დაურიგა თავ-თავისი ჯილდოები და მიულოცა.

*** სურამის გვირაბის გამკეთებელი ხუროთ-მოძღვარი რიდზევსკი გუშინ ტფილისში ჩამოვიდა სურამიდგან.

*** გზათა მინისტრი ფონ-გუბბენეტი კავკასიაში ყოფნის დროს რამდენსამე ალაგას ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მატარებელს დააყენებს და გასინჯამს რკინის გზის ლიანდაგს. მინისტრი სხვათა-შორის დიდ ყურადღებას მიაქცევს შპალებს.

*** ჩვენ გვთხოვენ, გამოვაცხადოთ შემდეგი: ამბროსი დავითის ძემ ხელაშვილმა შემოსწირა „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნთ-საცავს ორი სურათი წამლით დახატული ტილოზე: ერთზეა დახატული ხელაშვილი, ავტორი „კალმასობისა" და მეორეზე გამოჩენილი დავით რექტორი მესხიშვილი. შემოსწირა აგრეთვე ამავე საზოგადოების წიგნთ-საცავს ლავრენტი მათიკაშვილმა ხუცურად ხელ-ნაწერი ზადიკი. გამგეობა საზოგადოებისა მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** წელს, 2 ოქტომბერს შესრულდება 25 წელიწადი სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტრის იგუმენია ნინოს მოღვაწეობისა. იგუმენია ნინო (სოფლად კნიაჟნა ანნა ამილახვარი) ალკვეცილ იქმნა მონოზნად 19 ივნისს 1855 წელს მიტროპოლიტის ისიდორეს განკარგულებით და 2 ოქტომბერს 1865 წელს ევსევის ეგზარხოსობაში ებოძა წინამძღვრობა ზემოხსენებულის სამთავროს დედათა მონასტრისა მცხეთაში. იგუმენია ნინოს, აწ უკვე ღრმად მოხუცებულს, მცირედი სამსახური არ მიუძღვის, როგორც წმ. ნინოს მონასტრის წინაშე, ისე დედათა-განათლების საქმის წინაშეცა ჩვენში.

მისის მეცადინეობით დაარსდა დედათა სკოლა მცხეთისა, რომელიც დღეს ტფილისშია და რომელსაც ახლა საეპარქიო სასწავლებელი ეწოდება. იგუმენია ნინომ ხელ-მეორედ დაარსა შარშან მცხეთაში ახალი დედათა სკოლა, რომლის სიკეთის შესახებ ჩვენს გაზეთში რამდენიმე სიტყვა იყო ამ ორიოდე თთვის წინად დაბეჭდილი.

*** გუშინ-წინ, 12 სექტემბერს, ქართულს თეატრში კრაპივნიცკის მალოროსიულმა დასმა წარმოადგინა კოტლიარევსკის სამ მოქმედებიანი ოპერეტი „Наталка-полтавка" და მანსფელდის ერთ-მოქმედებიანი ფარსი „Съ мѣста въ карьеръ". პირველი პიესა საუცხოვოდ ჩაატარეს და თითქმის ყველა არტისტი თავის ადგილას იყო, ბ-ნ რუდიკოვს გარდა, რომელიც პეტროს როლს ასრულებდა. ყველაზედ მეტი ტაშის-კვრა თვით ნატალკასა— ქ-ნ მარკოვიჩისას, მაკაგონენკოს—ბ ნ კრაპივნიცკისა და მიკოლოს—ბ-ნ ნაუმენკოსა ხვდა. ფარსმა უფრო გაცილებით სუსტად ჩაიარა, თუმცა ეს ვოდევილი უფრო ცხოვლად რომ წარმოედგინათ, უკეთ გამოვიდოდა. დაწვრილებით ამ წარმოდგენაზედ არას ვიტყვით, რადგან, ჯერ ერთი, დასი ჯერ სულ არ არის თავ-მოყრილი, ასე რომ მეორე წარმოდგენას კვირისთვის ჰმართავს კრაპივნიცკი, და მეორე—არც მუსიკა იყო რიგიანი, ასე რომ ეს გარემოება ძალიან ხელს უშლიდა არტისტების მღერას—კრაპივნიცკის ხორო მუსიკისაც ამ დღეებში უნდა ჩამოვიდეს. განსაკუთრებით არ მოგვეწონა კაპელმეისტერი მუსიკისა, რომელიც ვერც ხოროსა წინამძღვრობდა გვარიანად და ვერც არტისტებს მღერის დროს, თუმცა-კი იგი საიმპერატორო თეატრის არტისტად არის დასახელებული განცხადებაში (sic?).

*** როგორც მკითხველებმაც უწყიან, ბათუმისა და ბაქოს თეატრებიც წრეულს ფორკატის აქვს აღებული. ამ ორს ქალაქში უკვე გაემგზავრნენ არტისტები: ბათუმში სექტემბრის 15 დგან ოპერეტტი იწყებს წარმოდგენებს და ბაქოში-კი—სექტემბრის 20-დგან დრამატიული წარმოდგენები გაიმართება. ამ ხანში ერთს თთვეს კრაპივნიცკის დასი დარჩება ტფილისში და მერე კი ადგილს იცვლის.

*** სოფ. ნატოხაო (სენაკის მაზრა). 28 აგვისტოს ჩვენს სოფელში გაუფრთხილებლობის გამო გაჩნდა ცეცხლი ერთის ქვრივის დედაკაცის სახლში და თითქმის სულ გადაიწვა. საცოდავს დედაკაცს ლობი გაეფინა ლასტზე გასახმობათ და ლასტი სახლშივე დაეკიდა. შემდეგ დაენთო ცეცხლი და მეზობლისას წასულიყო. ცეცხლი ლასტს მისწვდომოდა და მერე სახლის სახურავსაც მოსდებოდა. დაბრუნებულს დედაკაცს დაენახა, რომ მის სახლს ცეცხლი უკიდია, შემოჰყროდა გულს და დაეწყო ყვირილი მეზობლებისათვის, მიშველეთ, დაეიღუპეო, მაგრამ, ვიდრე მეზობლები მოეშველებოდნენ, სახლი სულ ჩაბუგულიყო.

*** დაბა ლანჩხუთი (ოზურგეთის მაზრა): წელს გაიმართა ჩვენში ორკლასიანი სასოფლო სასწავლებელი, თუმცა სასკოლო სახლი კი ჯერ არ არის დამთავრებული. მსურველი სკოლაში შესვლისა ბევრი იყო, თითქმის ორასამდე იქმნებოდა, მაგრამ ბევრს უარი უთხრეს უალაგობის გამო. მიიღეს სკოლაში მხოლოდ 75 ყმაწვილი.

*** იქიდამვე: აქაურმა სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა კერესელიძემ შეადგინა თავის სკოლის შეგირდებისაგან რუსული ხორო მგალობელთა და ყოველ კვირა-უქმეში აგალობებს წირვა-ლოცვაზე ეკკლესიაში. წინანდელ მგალობელთა ქართული ხორო დაიშალა. ეს ამბავი ხალხს არ მოსწონს და სჩივის, რომ ჩვენებური გურული გალობა აღარ გვესმის ეკკლესიაშიო.

*** ამ თთვის 12, ნაშუადღევის 4 საათზე, პოლიციის მეხუთე ნაწილში, აქიმოვის ქუჩაზე, სინაგოგაში მუშა კაცი ხომლსასწორებდა, ხომლი ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდა სამსახურს გარეშე მყოფი მწერალი ვოლოგდის გუბერნიის მცხოვრებელი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სადოვნიკოვი. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს პოლიციის მეოთხე ნაწილში შეიპყრეს ხარაზის ტერ-არუთინოვის გამქურდავი მიხეილ ბუთუნოვი და სამართალში მისცეს.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ოც-და-ხუთის წლის წინად შესანიშნავი ამბავი მოხდა რუსეთის მწერლობისათვის. 1865 წლის 4 სექტემბერს პირველად დაიბეჭდა, 1865 წ. 6 აპრილის კანონის თანახმად, რამდენიმე გაზეთი ცენზორის გაუსინჯავად, გაუჩხრეკავად და ხელ-მოუწერლად. ამ ისტორიულ ამბავზე ფრიად საყურადღებო ფელეტონია დაბეჭდილი გაზ. „Русскія Вѣдомости"-ში გრ. ჯანშიევისა და იქიდგან მოვიყვანთ ორიოდე ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ დაუხვდნენ მაშინდელი გაზეთები ამ მწერლობის განთავისუფლებას. პეტერბურგში უცენ-

---

არ ვარ, არც ვიყავ მისნადა.
ძვირად თუ ისარს დავაცდენ,
რაც ამოვიღე მიზნადა.
შეჰკადრა მეფეს შერემა
ერთგულებისა ნიშნადა,
მხოლოდ ერთს გკადრებ, მეფეო,
ნუ გამიწყრები ამაზე:
„ცოტა გულ-ჩვილი გახლავარ,
გულ-გრილი ავა-დავაზე;
არ მინდა ჩემის მიზეზით
ვისმე რამ წაუხდებოდეს,—
გახსოვდეს, როცა თქვენს ძესა
და ეთერს გაუხდებოდეს,
ქალს ნურას ავნებთ, თქვენს მადლსა,
იმისი არა ბრალია.
მთა-კლდეთ გაზრდილი მხეცებრივ
ერთი ბეჩავი ქალია.
თუნდა მე მომე, ნუ მოჰკლავ,
ცოდვაა, შეიწყალია."
—შენ გყვანდეს—მეფემ უბრძანა,
თუ შესძელ ნაბრძანებია,
შენ გყვანდეს, ჩემო შერეო,
მეფისგან ნაქრთამებია!
მწყობრადა თავი დაუკრეს—
ვეზირთ და გავლეს კარები,
შერეს-ღა დაჰრჩა საქმედა
მეფისგან დანაბარები.
ხმლები შეირტყეს წელზედა,
ჩამოიკიდეს ფარები,
წესისებრ ძველთა დროთასა
აივანს დანაყარები.
ხელში შუბები ეჭირათ
ტარ-გრძელი, შესაზარები.

IX

ცხრას ზღვასა, ცხრას მთას იქითა,
უდაბურს ადგილს, მთიანსა
ერთი ბებირი სცხოვრობდა
გამოქვაბულსა კლდიანსა.
გველი, შხამი და ბოროტი,
ყველას ის აძლევს ზიანსა.
ქაჯთათვის სული მიეცა,
ქაჯებში იყო გართული,
დევთა და ალთა შორისა
ზემოთა თავში ჩართული.
ქარს ის აჩენდა და ლვარსა
სეტყვას და ელ-გმას მეხითა,
თუ-კი ერთს დაიწიველებდა,
ან მიწას სცემდა ფეხითა
ხმელს, მოხრილს ზურგზე დადგმულის
ეშმაკთ-ცხენაის კეხითა.
შავია როგორც ნახშირი,
როგორც ფისი და კუპრია,
სუყველა იმაში ბუდობს
ანგარება და შურია;
ერთხელ არ იტყვის, სხვას ვარგო,
მუდამ სხვის ენება სწყურია,
ცოდვებით ვერ შაედრება
ქრისტეს გამცემი ურია.
თვალები ცეცხლისა უსხდა,
კბილები ჰქონდა მინისა,
ცალიერს ძვლებზე ზედ ეკრა
ტყავად ფურცელი რკინისა,
ფეხები ჰქონდა კაცისა
ხელებად ბჯღლები ციცისა
და თმის მაგიერად, სულ—ძაღლსა,
მოკლე ფაფარი კვიცისა.
საცა რამ კეთილი ხდება
სუყველა იმან იცისა,
და უცდის დრო მოუვიდეს,
კარგის ჩაშლელის კლიწძისა.
ერთს დღეს ეს ავი ქმნილება
იჯდა მთათ შორის ხევშია;
ძაფები სახათაბალო
იმას ეჭირა ხელშია.
ჩაჰკირკიტებდა ჯადოსა
ორად მოხრილი წელშია.
ამ დროს აქ გაჩნდა შერეცა,
მაღლა გადმოდგა მთაზედა,
ცხენს მჯდომი გადმოსჩხაოდა
კუდიანს ბებერს თავზედა:

შერე (ბებერს)

ჰეი, გრძნეულო, სადა ხარ,
მოხუცებულო ხნიანო,
საქმე მაქვს შენთან საძნელო,
მინდა, რომ გაგეხმიანო.
ვინძლო ეცადო, სულელი
მეფის ძე დაგვიჭვიანო!

კუდიანი ბებერი (შერეს)

გურგენ მეფისა ვეზირო,
გულ-დაკოდილო, შერეო,
რაღას მეძახი შორითა
აქ, ჩემთან ჩამეერეო.
ადრევ გაგივე წადილი,
ორი კვირაა გელიო.
რას ჩამამყუი გორითა,
როგორც მშიერა მგელიო?!

შერე (მიდის ბებერთან)

სალამი შენთან, მოხუცო,
დიდის ჭკვა-გონებისაო.
მიშველე რამა, გეთაყვა,
ჭირი მჭირს ლონებისაო.
ჩემს სულს შენ მოგცემ, არ მცხვენის
მე იმის მონებისაო.
დღე აღარ არის ჩემთვის დღე,
სიცოცხლე მეშავეთება,
ხომ კარგად იცი შენაცა,
მჭირს ერთის ქალის ფეთება,
თავიდამ გონი წამერთო,
დამთვრალი დაელეტება.
ცოცხლად საფლავში ვიმარხვი,
ზედ შავი ლოდი მედება!..
რას ნიშნავს ჩემი ესეთი
უფლისან გამომეტება?!

ბებერი

მე მაშინათვე გავიგე,
რასწამს ეთერი ჰნახეო;
მუხად დაგეცა თავზედა
მაშინვე ქალის სახეო
და მეც აქ ჩემთვის წყნარადა
დავკარ-დავაგე მახეო.
ჩემისა სულის სანთლადა
ჯადოც მყის გამოვჩმახეო!
რა გინდა მითხარ, რას ეძებ,
მითამ არ ვიცი, მითხარი,
რამ აგაღელვა ვაჟკაცი,
რად გტკივა გულის ფიცარი!?

შერე

რაღა ვსთქვა, განა არ იცი,
ჩემი წამწყმედი ის არი,
იმან დამაბა თვალ-მზემა,
გულს გამიყარა ისარი.
სხვას ვერას გეტყვი, მოხუცო,
ვეღარას გეტყვი, ვეღარა
ენა მებმევა, სიტყვასა
ვერ გამოაგებს, ვეღარა.
ეკლებზე მძინავს, რომ ვწვები;
ვეღარ ვისვენებ, ვეღარა.
პური გველია; რო ვილებ
ყელს ვერ ვაცილებ, ვეღარა.
დაედვა გულსა ობოლსა
მკვდარის სიცოცხლის ბეგარა

ზოროდ პირველად დაიბეჭდა გაზეთები „С.-Петербургскія Вѣдомости“ და „Голосъ“-ი. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ორივ გაზეთს 1865 წ. 4 სექტემბრის ნომრებში ამ მესანიშნავ ამბის შესახებ აქვთ ლაპარაკი. მოხუცი გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ი დიდად თავ-დაჭერით დაუხვდა ახალს ხანას მწერლობისას.

„დღეს მივიღეთ ნებაო, სწერს კორშის გაზეთი, რომ უცენზუროდ გამოვცეთ ეს ნომერი. ბოლო მოეღო ჩვენს ბატონ-ყმურს დამოკიდებულებას ცენზურასთან, მოვრჩით გარეშე კაცის ნებასა და გემოვნებაზედ მოქცევას. სრულ-წლოვანად ცნობილნი, ამიერიდგან დამოკიდებულნი ვიქნებით ჩვენს საკუთარს ნებაზედ და ჩვენის მიხედულებისამებრ ვიტრიალებთ იმ წრეში, რომელიც კანონსა აქვს შემოფარგლული საზოგადო მოღვაწეობისათვის. ამიერიდგან მოვრჩით სხვის მზრუნველობას და, როგორც თავისუფალნი ადამიანნი, პირში ვუდგევართ კანონს, იმის რისხვისა და მსჯავრისაგან აღარა გვიფარავს-რა, ჩვენის საკუთარის გონიერების მეტი“.

„Голосъ“-მა თავის მხრივ 6 აპრილის კანონს ვრცელი მეთაური წერილი უძღვნა.

„მას შემდეგ, რაც ჟურნალისტიკის ასპარეზზედ ვმოქმედებთო, სწერს უმხცოვანესი რუსთა პუბლიცისტი ა. ა. კრაევსკი: დღეს პირველად მივმართავთ მკითხველს ისეთის სიტყვით, რომელიც იმ თავითვე ცენზორის მიერ არ არის განხილული. არც დასათვალავი გვაქვს ის სიხარული, რომელსაც ვგრძნობთ ასეთის თავისუფლების წყალობით. ჩვენს სიხარულს მაღალის ხმითა და დიდის ამბით არ გამოვსთქვამთ, იმიტომ-რომ იგი სიხარული გულ-წრფელია და დიდი. ჩვენს თავისუფალს მოღვაწეობას იმ ბავშვურის აღტაცებით არ ვიწყებთ, რომელსაცა ჰგრძნობს სასწავლებლიდგან გამოსვლისას შეგირდი, იმის მოსურნე, რომ გაკვეთილები დაივიწყოს და წარსულთან ყოველივე კავშირი მოსპოს. არა, ჩვენ არაფრის დავიწყება არ გვინდა, არავითარის კავშირის მოსპობას არა ვართ მოწადინებულნი და იმის თქმაც-კი არ შეგვიძლიან, რომ ჩვენის მწერლობისათვის დადგა ახალი ხანა, ხანა აჰყვავებისა და წალმა გამობრუნებისა. არა, არც არაფრის დავიწყება გვმართებს და არც არაფრის მოსპობა. ჩვენმა მწერლობამ ამ უკანასკნელს ნახევარს საუკუნეშიაც ბევრი იმდენი ღვაწლი დასდო, რომ, სამართლიანად რომ ვსთქვათ, თავი უნდა მოსწონდეს; იგი შეძლებისამებრ საზოგადოების სურვილისა და გულის ნადების გამომთქმელი იყო; ხანდახან რაც უფრო აგრული ჰქონდა კრიჭა, რაც უფრო შეზღუდული ჰქონდა ასპარეზი მოქმედებისა, მით უფრო მეტი ღვაწლი დასდო; ბევრი მისი კეთილშობილი მოღვაწე ვერ მოესწრო დღევანდელს დღეს, იმ დღეს, როცა გონიერისა და დაფიქრებულის მწერლის სიტყვას უწინდელზედ უფრო მეტი თავისუფლება აქვს მინიჭებული“.

ამ სიტყვებს შემდეგ კრაევსკის გაზეთი ჰკიცხავს იმ პუბლიცისტებს, რომელნიც „ისარგებლებენ ახალის უფლებით, რათა ინკვიზიტორულად სდევნონ ახალი სიტყვა და იმის გამოძიებაში იყვნენ, ეს რატომ ასე ითქვა და ისკი რატომ ზედ არ დასძინესო“ და სხ. მოსკოვში უცენზუროდ დაიბეჭდა „Московскія Вѣдомости“, „Современная лѣтопись“-ი და „Русскій Вѣстникъ“-ი მ. ნ. კატკოვისა და „День“-ი ი. ს. აქსაკოვისა. ყველაზედ დიდი ყურადღებაც ახალს კანონ-მდებლობას მწერლობისას აქსაკოვის გაზეთმა მიაქცია. ეს გაზეთი წინადაც, 6 აპრილამდე, ჰქადაგებდა თავისუფლებას მწერლობისას. განსვენებული აქსაკოვი იმ აზრისა იყო, რომ სიტყვის თავისუფლად წარმოთქმა ბუნებრივი უფლებაა ადამიანისა და რუსეთს, ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ, ეხლა ამაზედ უშესანიშნავესი საგანი აღარა აქვს-რა გადასაწყვეტიო. გაზ. „День“-ის პირველსავე ცენზორის მიერ განუხილველს ნომერში გრძნობით სავსე წერილით მიეგება ი. ს. აქსაკოვი ახალს კანონს, გამოარკვია იმისი მნიშვნელობა და შედეგი და მოკლედ გამოსთქვა თავისი profession de foi-ც.

„მშვიდსაო!.. ასე იწყებს თავისს წერილს გაზ. „День“-ი: დღევანდელი ნომერი იმ თავითვე განუხილველ-განუჩხრეკელი იბეჭდება. დღეს მეთაურის წერის დროს დარწმუნებულნი ვართ, რომ ნაბეჭდშიაც იმ სახით წავიკითხავთ, რა სახითაც ეხლა ვწერთ; დღეს კალდებულნი არა ვართ „უფროსების“ გემოვნება და აზრი ვიქონიოთ მხედველობაში. დღეს აღარავინ დაუშლის ჩვენს საქმეს, არ შეგვიხუთავს სულს, აღარაფერი მოგვიჭერს გონებაზედ მუხრუჭს და კალამს აღარა შეუშლის-რა. მოგვეცა ჯერ არ-ნახული და არ-გაგონილი უფლება, უფლება, რომ ტყუილი აღარა ვსთქვათ, სული არ დავწვათ, მიხვევ-მოხვევით-კი არა, გარკვევით ვილაპარაკოთ და ვისაუბროთ.

„ვითომ განა უფრო გონიერად არ მოვიქცეოდით, ახალის უფლებით ამაყად რომ გვესარგებლნა და წარსული აღარ მოგვეგონებინა? კარგი იქნებოდა, მაგრამ ასეთი საქციელი ჩვენს გულ წრფელობას ლაქას დასდებდა: სირცხვილი იქნება რუსეთის მწერლობისათვის, რომ არ უხაროდეს ეს განთავისუფლება, თუმცა არა-სრული, მაგრამ მაინც-კი განთავისუფლება ხანგრძლივისა და მეტად მძიმე ასატანის ტყვეობისაგან.

„კარგი, მაგრამ განა დიდ სულოვნად არ მოვიქცეოდით, რომ შეგვეწყნარებინა, უწინდელი წეს-წყობილება საუკედუროს აგვიცილებინა და წარსული დავიწყების მორევისთვის გაგვეტოლებინა? არა, ჩვენი ასეთი დიდსულოვნობა უადგილოდ მიგვაჩნია. პირ-იქით, ავად გიხსენიებთ, არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ავად ის საშინელი შევიწროება, რომელიც გამოიარა ამდენს ხანს რუსეთის მწერლობამ. ესეც რომ არ იყოს, ამ წარსულს ჯერ სრულიად არა აქვს ცხოვრება მოჭმული, პირ-იქით, იგი ცოცხალია და თავის ძალას ჯერ კიდევ არა ერთხელ გამოიჩენს, თუმცა-კი სხვა სახით“.

შემდეგ გაზეთი უწინდელ წესის შესახებ ჰლაპარაკობს და ბრალად ამ წეს-წყობილებას იმასა სდებს, რომ მან გაამრუდა ნაბეჭდი სიტყვაო:

„თითქო ცოტა ყოფილიყოს ჩვენს საზოგადოებრივს განვითარებაში სიმრუდე, იმასაც-კი ვეცადენით, რომ თვით სიტყვაც გვმრუდდა: მწერალი იმის ფიქრში-კი არ იყო, რომ რაც შეიძლებოდა ნათლად გამოეთქვა თავისი აზრი, არამედ იმასა სცდილობდა, რომ კონტრაბანდასავით გაეპარებინა დარაჯის წინაშე. ამ გარემოებამ ის სიკეთე მოიტანა, რომ რაღაც სხვა ნაირი მწერლობა დაჰბადა, მწერლობა, რომლის აზრსაც გონებით უნდა მიმხვდარიყავით და არა თვალით ამოგვეკითხა. ის ზნეობრივი ტანჯვა, რომელიც მწერლობამ გამოიარა, მხოლოდ იმ მხატვრის ტანჯვას თუ შეედრება, რომელთანაც დაუპატიჟებელი დამფასებელი შედის და ახლად ნახატს ტილოზედ სქლად თითს ჩაუსვამს. მწერალი, მტკიცედ დამყარებულს წესებზე-კი არა, სხვის ჭკუასა და გემოვნებაზედ იყო დამოკიდებული. დარაჯს გატარებული ნაწერი დამახინჯებული გამოდიოდა, კისერ-მოგრეხილი, და ამასაც საზოგადოება მწყურვალსავით ეტანებოდა, როგორც აღკრძალულს რამ ნაყოფს“.

ამ შევიწროების წყალობით გამონაცად ზიანიდგან თავის დასაღწევად ეხლა, ოდნავ მბჟუტავი და მთრთოლავი სინათლე-კი არა, მტკიცე ნათელია თავისუფლებისა საჭირო, რომ მწერლობამ მხრები გაისწოროს და შვიდად მოხრილი ზურგი გაიმაგროსო. დასასრულ გაზეთი ამბობს, რომ იმედია, ამიერიდგან მწერლობას სიმართლის თქმა შეეძლება და აქამომდე არსებული სიმრუდე აღარ შეაფერხებს არც ჩვენის საზოგადოების განვითარებასა და არც სახელმწიფოს საქმეთა წარმოებასაო.

## რუსეთი

ოსმალეთსა, სპარსეთსა, ხივასა, ბუხარასა, იაპონიასა და ჩინეთთან ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის საწარმოებლად აუცილებლად საჭიროა აღმოსავლეთ ენების ცოდნა. ფინანსთა სამინისტრომ მიაქცია ამ საგანს ყურადღება, მოილაპარაკა გარეშე საქმეთა მინისტრთან და გადასწყვიტა, რომ რუსეთის ზოგიერთს ქალაქში დაარსდეს სასწავლებელი, სადაც ან სულ უფასოდ და ან მცირედის ფასით შეიძლებოდეს აღმოსავლეთ ენების შესწავლა. საელჩოებთან გაიმართება სპეციალური სასწავლებლები, რომელშიაც ნაფიცი თარჯიმანები მომზადდებიან, და დიდს ქალაქებში-კი უნივერსიტეტებთან სასაღამო კურსები დაარსდება, სადაც გარედგან მოსიარულეთ შეეძლებათ აღმოსავლეთ ენების შესწავლა.

— ფინანსთა სამინისტრომ გარდასწყვიტა, შეადგინოს ცალკე კომისია ილიინის თავმჯდომარეობით და მიანდოს განსახილველად ახლად შემდგარი პროექტი სატამოჟნო გადასახადისა. ამავე კომისიამ უნდა განიხილოს ამ პროექტის შესახებ გამოგზავნილი შენიშვნები საბირჟო კომიტეტისა, სავაჭრო საბჭოებისა და სხვა საზოგადოებათაგან. კომისია ოქტომბრის დამლევს შეუდგება თავის მუშაობას.

— რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების იმ განყოფილებაში, რომელიც პროვინციებში არის, უნდა გაიმართოს მუდმივი გამოფენა სამამანუფაქტურო და საქარხნო მრეწველობის ნიმუშებისა.

— გაცხარებული მუშაობა მინისტრთა კომიტეტისა დაიწყება სექტემბრის დამლევს. განსახილველად მრავალი საყურადღებო საქმე და მოხსენებაა დანიშნული, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრების მიერ შეტანილი. სხვათა შორის პირველშივე განხილულ იქნება იუსტიციის მინისტრის მოხსენება იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც ბრალმდებელის უფლებისა გამოძიების წესდებაში უნდა მოხდეს, და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მოხსენება სამეურნეო სწავლა-განათლების გაძლიერების შესახებ რუსეთის იმპერიაში.

— სახელმწიფო საბჭოს სესსია ოქტომბრის დამდეგს დაიწყება. ამ ჟამად სამზადისში არიან სხდომების დასაწყებად სახელმწიფო ეკონომიისა და კანონთა დეპარტამენტში, რომელსაც

---

და სულიც ასულიერებული
სასულეს ამამეჩარა!?

ბებერი

ნუ ჰკრთები, შერევ, ნუ სწუხარ,
ყური დამიგდე ბებერსა,
მალედვე მიგწევ საწადელს,
ხელში ჩაგიგდებ ეთერსა.
რაც მე გასწავლო წამალი,
აწამლე იდუმალადა:
ფეტვს მოგცემ დევთა ნათესსა
მოსულსა დევთა ქალადა;
ის ურწყავ სისხლსა კაცთასა
დევთაგან ნახმარს წყალადა.
შიგვე დედის რძე ურევავ
ქაჯთი, მაცალთი კვალადა.
შიგვეა ფერფლი იმ სულთა,
ჩვენ რომელიც გვხვდა წილადა,
ენც თავის მეუფესთანა
გამოჩნდა განაწბილადა,
შიგვე ლაფია იუდის,
ქრისტეს გამცემის სულისა,
და ანაფხეკი სასყიდლად
მის მიღებულის ფულისა.
ან-კი რას მარგებს ბებერსა
ესეთი გახსნა გულისა:
დახე რომ ორგული ეხდები
ჩვენის-გრძნეულთა სჯულისა:
დაგიწნავ ქაჯის ქალმანსა,
შიგ ჩავყრი, ჩავაწკრიალებ,
შიგ ჩაელეს გრძნეულთ სიტყვასა,
რა ენას დავატრიალებ,
საქმეს გაეჩარხავ, გოდერძის
დავწოვ და ავაპრიალებ.
წადი... მეფის ძის სახლის
სადაც ლიბო და ძირია,
იდუმალ ამოაფარე,
არ დაუჩინო პირია.
ჰნახოდით მაშინ ეთერი
სიტურფით გასაკვირია!
ჰნახავთ რომ მატლი დაედევს
ბროლს ყელზე ათასობითა,
თვალ-წარბს ჰიები უჭამდენ
დასხმულნი კაპასობითა.
მკერდზე გველები გადერტყას,
ძუძუზე ჰლოკდენ ენითა,
ცდილობდენ, ვერ აშორებდენ
მანქანებით და ხელითა.
ჰბანდენ და ჰრეცხდენ პატარძალს,
მატლებს უფრო ხშირობენ
და თავის უძლურებასა
მეფის ექიმნი ჰკვირობდენ.
მაშინა ნახე გოდერძი,
მისი გული და თვალები...
მაშინ შენ შენი ეცადე
გზა ჰპოვე დასაკვალები!

შერე

მე რაღა მინდა, რო დამრჩეს
მარტო დახრული ძვალები?

ბებერი

ვინ გეუბნება მაგასა,
გამომიწოდე ხელები,
რო მოგცე თმები ალისა
ჰია-ღუების მწველები,
რომ ქალს მოჰშორდეს მკერდიდამ
გადახვეული გველები.
როცა შენ დაგრჩეს ეთერი
შეწუხებული ჭირითა,
მოუსვი ტანზე და ისევ
გამოგინათებს პირითა.
ჩვენ გაიხაროთ და სხვებმა
ხორცი იგლიჯონ კბილითა!
შერემ წამლები იშოვნა
და გამოსწია ღამითა,
ახმიანებდა კლდეებსა
ცხენის ნალების ჩქამითა.
უკან გამოჰყვა ალ-ქაჯის
წკნავილ-ღნავილი ხრამითა.
ჩოლროს გზას მოუნათებდენ
ქაჯნი კბილების ალითა.
მოსძახდენ: „ძმაო, შერეო,
როდის-ღა გნახოთ თვალითა?!

X

მოსდევდა შერე მდინარეს
ბნელს ხევზე ჩამდინარესა.
ცრემლები ჩამოსდიოდა
სვინიდისს — ნამძინარევსა.
ერთის მხრით გულით უხარის
შერესა ნამტირალევსა.
ჩაესმოდა ყურანს უფსკრულსა,
ესმოდა ქოთი, ღრიალი.
დევთა ლხინის და მღერისა
შესაზარები ზრიალი.
ცეცხლი დაენთოთ ძლიერი,
გარს უსხდენ ყოტებივითა,
თავ-ცხვირი წამოეშვირათ
სალის კლდის ლოდებივითა
დაღრენილი აქვთ ლაშები
სალუდეს ქოზებივითა.
წითელს იქნევდენ ენებსა
გრძელებსა შოთებივითა.
მსახურად ედგნენ ჰინკები,
ჰყიოდენ ჰოტებივითა.
დევთა ხელთ ეპყრათ პირ-დიდი
ჰურჭლები კოკებივითა.
ღვინის მაგივრად სისხლს ჰსვამდენ,
დევები სწოროობაზედა.
სადაც ეისთვისმე მოესწროთ
ხევში, ან გორობაზედა,
არჩობდენ, ეზიდებოდენ
დამდგრები ღორობაზედა.
სისხლი ნაწური კაცების
ჰურჭლებში ედგათ ღვინოდა,
მეჯლისში სისხლით თვრებოდენ
სისხლს ჰსვამდენ მოსალხინოდა.
შერეს უკიელეს: „ტვინ თხელო,
შერევ, სად მიელტები?
რატომ არ მოხველ ეახშმადა,
რო თავში დაგცხოთ კეტები.
მაინც ხომ სული ჩვენ მოგვეც
ხორციითაც ჩვენკე იარე.
პირ-წბილად რას იყურები,
გამოსწი, გამოიარე.

შერე (დევებს)

სული გეყოფათ, ავ-სულნო,
ლეშს რაღას მოეტანებით?
ცოტა ხანს კიდევ დამითმეთ,
მერე დაჰერით დანებით,
თუნდ კუპრის ცეცხლში ჩამაგდეთ,
დამჭერით ჩემის წვალებით,
რო სულიც ხორცთან იწვოდეს
გარს შემორტყმული ალებით!
„კარგია, მშვიდობით, წადი,
ხუთს წელს ილხინე გულითა
და მემრე სრულად ჩვენი ხარ,
სრულად ლეშით და სულითა“.
მოსძახდენ შერეს მორბენალს
დევნი ხმით ბაბაყულითა.

ვაჟა ფშაველა.

(დასასრული იქნება)

მომავალს სესსიაზე დიდი სამუშაო მოელის. პირველად განხილული იქნება შემდეგი პროექტები: დებულება საფოსტო-სატელეგრაფო საქმის ცვლილებათა და გაუმჯობესობისა და ახალ შტატების დაარსება სახლეო-სამხედრო დაწესებულებებში და აგრეთვე კანონ-პროექტი ქარხნებში დაშავებულ მუშების დაჯილდოვებისა. ერთი ფრიად საყურადღებო საქმე, რომელიც მომავალს სესიაზე უნდა განიხილოს სახელმწიფო საბჭომ, არის იმ ცვლილებითა კანონ-პროექტი, რომელიც აწინდელს საქალაქო დებულებაში უნდა მოხდეს. ამ პროექტს ადგენს სამეურნეო დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროსი და ნოემბრამდის კიდეც წარადგენს სახელმწიფო საბჭოში.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება ახლად დაარსებულ „მოსკოვის ფერშალთა და ფერშალ-ქალთა საურთიერთო დამხმარებელის საზოგადოებისა.“

## წვრილი ამბები

ვენგრიის სამოსწავლო უწყებამ გადასწყვიტა, ბერძნულ ენის სწავლება სავალდებულო ნუ იქნება მოსწავლეთათვის, და ვისაც უნდა, მხოლოდ იმათ ისწავლონო, მაგრამ როდესაც მოწაფეებს გამოუცხადეს ეს ამბავი, მთელის ვენგრიის გიმნაზიების შეგირდთაგან მხოლოდ ორმა სთქვა, გვგვანთავისუფლეთ ბერძნულ ენის სწავლისაგანო, სხვებმა არ მოინდომეს თავის-დანებება და ისევ სწავლობენ.

— ამ ქვესის წლის განმავლობაში სულ 289 მოსწავლემ მოიკლა თავი პრუსიაში. ამათში 240 ვაჟი იყო და 49 ქალი.

— ახირებული კონგრესი მოხდარა ამას წინად ილლინოისში. ყველა მაწანწალა, ქურდ-ბაცაცა და სხვა გვარი ბოროტ-მოქმედი ერთად შეყრილა, კრება გაუმართავს და დელეგატები ამოურჩევია თავის შორის ჩიკაგოში გასაგზავნად. სხვათა შორის ამ კრებას გადაუწყვეტია ბრინჯაოს ქანდაკება მიართვას ზანგ ქალს ადა ლინშინგოტსა. ადა ქურდია, მთხოვარი და ლოთი. ამ ქალს სულ 348 სული შთამომავალი ჰყავს, რომელთაგანაც 168 სახლის ცეცხლის წამკიდებელია, 95 მთხოვარი, 76 მაწანწალა, 64 კაცის მკვლელი, 140 ქურდი და ყალბის ფულის მჭრელი, 105 ჯიბგირი და სხვა ამ გვარ საქმის მიმდევარი.

— როგორც სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს აგვისტოს დამლევს ლონდონში სულ 87,185 ღარიბი ყოფილა. ამათგან 32,853-ს ბინა სრულიად არა ჰქონია.

— პრესსას ყოველგანა ჰყავს თავისი მტერი. ინგლისელი დეპუტატი კონინგამ გრაჰამი საშინლადა ყოფილა გადაკიდებული ჟურნალ-გაზეთებზე. ბელფასტში მომხდარს კრებაზე უთქვამს გრაჰამსა, რომ კრებებზე გაზეთების რეპორტიორეს ნუ მიუშვებთ ხოლმე, რადგან ჭეშმარიტს ცნობებს მაინც არა ბეჭდავენ და არაო. მეტად გამოხარებულა, უთქვამს ამ ახირებულს კაცსა, რომ ირლანდიელები ყველა რედაქტორს ჩამოარჩობდნენო.

— ამას წინად ჩიკაგოში ერთს გულთმისანს სალაცარო ამბავი ჩაუდენია. ერთი კაცი დაჰქნამალებია, აბა თუ გულთმისანი ხარ, გამოიცან, რაც გულში მიდევსო. გულთ-მისანი თვალებ-ახვეული წასულა ქუჩა-ქუჩა, შესულა ერთს სასტუმროში, გაუხსნია სასტუმროს დავთარი და სწორედ ის სახელი და გვარი ამოუკითხნია, რაც სანაძლეოს დამდებს ჰქონია ჩაფიქრებული. გამოცნობს შემდეგ გულთმისანი უცრად ისე გაშეშებულა, რომ ჰგონებიათ მოკვდაო, მაგრამ მკურნალებს მოუბრუნებიათ.

— 21 აგვისტოს მექსიკელმა ინდოელებმა იმის იუბილე გადაიხადეს, რომ 369 წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ისპანიელებმა აწამეს მექსიკის მეფე გვატემოცა. მექსიკელები დიდის აღტაცებით იგონებდნენ გვატემოცის იმ გმირობას, რომ თუმცა საშინლადა სტანჯეს ისპანიელებმა, გვითხარი, სადა გაქვს შენახული ოქრო-ვერცხლიო, მაგრამ ყველაფერი კაყ-კაცურად აიტანა და არ გამოტყდაო.

— ერთმა ამერიკელმა ახირებული კარსეტი მოიგონა. თუ ვინმე გარედგან ხელი მოჰკიდა ამ ახლად მოგონილს კარსეტს, ისე დაიწყივლებს, თითქო ორთქლ-მავალიაო.

— ამერიკულს გაზეთებში სწერია, რომ ანნიოტონში ერთი კაცი ჭკუიდგან შეიშალა პაპიროსის წევითაო.

— საუცხოვო თუთიყუში ჰყოლია ვაგნერსა. ყველა შემსვლელ-გამომსვლელს შესძახოდა თურმე: „ვაგნერი დიდი კაცია“! თუთიყუშისთვის თვით ვაგნერს უსწავლებია ესა. როდესაც დრეზდენში არეულობა იყო და ვაგნერს გაქცევა მოუხდა, თუთიყუშს სხვა სიტყვები დაასწავლა. ახლა სულ იმას გაიძახოდა: „გაუმარჯოს რიხარდს, გაუმარჯოს თავისუფლებას!“

— ერთს პარიჟელს მრეწველს ოთორი მერცხალი ჰყოლია და ეს ამბავი თითქმის ყველა გაზეთშია გამოცხადებული.

## დეპეშა

13 სექტემბერი

პეტერბურგი. იმ საქმის გამო, რომ მემამულე კრაფსკიმ გააბიაბრუა სამარას გუბერნიის მომრიგებელი მოსამართლე „Гражданинъ“-ში დაბეჭდილის წერილით 1887 წელს, სამოსამართლო პალატამ გადუწყვიტა წერილის დამწერს ერთის თთვის ვადით დაპატიმრება ჰაუპვახტაში, ხოლო „Гражданинъ“-ის რედაქტორს ათის დღის ტუსაღობა თავისავე სახლში.

სამარყანდი. ფინანსთა მინისტრი ტაშკენტს გაემგზავრა.

ბერლინი. ჩინეთის ელჩი ხუნგსუენი წავიდა პეტერბურგს მოსალაპარაკებლად იმ სხვა-და-სხვა საქმეების გამო, რომელიც ამ ხანად აქვთ ერთმანეთში რუსეთსა და ჩინეთს.

ლონდონი. წესიერება მანპურში აღდგენილ იქმნა. მაღარაჯამ მართვა-გამგეობა თავის ძმას დაუთმო.

პეტერბურგის ბირჟა, 11 სექტემ.

| | მყიდველი-სა. | გამყიდველ-ისა. | გარიგე-ბისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6¹/₄ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 125 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 13 | „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 225 |
| —მეორისა . . . . | 212 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | 210¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

## განცხადებანი

**იოსებ დავითაშვილის**

თხზულებანი, ავტორის ბიოგრაფიით და სურათით დაიბეჭდა და ისყიდება მხოლოდ

**ქართველთა ამხანაგობის**

წიგნის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ს. ზუბალოვისა) ფასი 80 კაპ.

აქვე ისყიდება ამხანაგობის გამოცემავე

**დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა**

პოემა

ბაჩანასი

ფასი 15 კაპ.

და სხვა ქართული წიგნები.

(4—3)

„ქართველთა ამხანაგობის წიგნების გამოცემის“ გამგეობისაგან.

ამხანაგობამ საჭიროდ სცნა, იყოლიოს აგენტები საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში. აგენტებად ამხანაგობის წევრნივე არიან და ამ ჟამად მხოლოდ 7 ადგილას; ფოთში დავ. ბესარიონ—კიკნაძე, ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია). ღ. ზესტაფონში—ვარლ. ჰიჰინაძე, ხაშურში—იოსებ ფანცულაია, განჯაში—დიმ. ქლიაიძე, შუშაში—იაკ. ზედგინიძე და ყარსში—მიხ. პეჟანოვი. ამ ადგილებში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიჰმართონ დასახელებულ აგენტებს—წევრებს, როგორც წიგნების სასყიდლად აგრეთვე ამხანაგობის შესახების საქმისათვის.

(3—3)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა კახი**

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებ სათვის

წელიწადი მეცხრე.

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1890—91 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანსვეტიანცს, ტფილისს.

(12—6)

კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეგრესის სნეულებას, ნეგრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესაყარში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად.

(10—10)

**კბილი ალარავის წამოსტკივდება**

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ



და ოქროს მენდლებით დაჯილდოვებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უმაგრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—43)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**„ისტორიული ნარკვევი“**

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

Дов. цен. Тифлисъ, 13-го Сентября 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик, д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე